ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - გელა ჭალიძე

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო"

კომისი(ებ)ის დასახელება

- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

- საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია

- არჩევის წესი -პროპორციული

საანგარიშო პერიოდი- 2023 წლის 01.01 -დან 2023 წლის 01.11 მდე.

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

   2023 წლის საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 10

   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 9

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2023წ.

   - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა -4 , ესწრებოდა - 4 სხდომას;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა -6 , ესწრებოდა --- 6 სხდომას.

   მ/შ დროებითი კომისიები:

   სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -2 სხდომა

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 2 სხდომა

3. მოქალაქეთა შეხვედრის რაოდენობა : 12 და შეხვედრაზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა : 120 მოქალაქე.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული საკითხები:

ქ.ახალციხეში რუსთაველის ქ N95, N95ა, N97-ში მდებარე კორპუსებისა და მათ მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობის მხრიდან გამოთქმული საკითხები:

- აღნიშნულ ლოკაციაზე მოსახლეობას არ აქვს ეზოში დასასვენებელი ადგილი, ისინი ითხოვენ, რუსთაველის ქ. #95-ში მდებარე კორპუსის მიმდებარედ, ყოფილი საქვაბის ტერიტორიაზე, მცირე ზომის სკვერის მოწყობას;
- ასევე, აღნიშნულ უბანზე, მოსახლეობას აწუხებს ამავე კორპუსთან მიწისქვეშა-ბუნებრივად გამომავალი წყალი, რომელიც ჩაედინება კორპუსთან და აზიანებს მას. ითხოვენ წყლის სანიაღვრეში დახურული წესით ჩაშვებას.
- ქ. ახალციხეში რუსთაველის ქ#124-ში მდებარე კორპუსის მიმდებარედ, რუსთაველის ქ#124-ში მდებარე კორპუსისა და მის მიმდებარედ (ყოფილი სასაზღვრო პოლიციის ტერიტორია) მოსახლეობას ესაჭიროება მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსადგომის მოწყობა,
- ასევე, გამოითქვა კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის შესახებ, საკითხზე აღინიშნა, რომ საჭიროა ხეების გადაბელვა.
- ქ. ახალციხეში ასპინძის ქუჩის #26-ში მდებარე კორპუსში და მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნაა წყალანირების პრობლემის მოგვარება.
- მოსახლეობამ მოითხოვა ქ.ახალციხეში გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის რეაბილიტაცია,
- ახლად მოწყობილ მინი- სტადიონთან, სკვერის და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა.
- რუსთაველის ქ. N122 ის კორპუსის მოსახლეობა ითხოვს კორპუსთან მისასვლელი გზის გაკეთებას და კორპუსის ფასადის რეაბილიტაციას.(გზის პროექტი ჩასმულია და მომზადების ეტაპზეა);
- 9 აპრილის ქუჩის N15 კორპუსის მოსახლეობა ითხოვს კორპუსის დაწყებული რეაბილიტაციის დასრულებას, ასევე 9 აპრილის ქუჩის N19 და N21 კორპუსის მოსახლეობა ითხოვს კორპუსების ფასადების რეაბილიტაციას;
- ადიგენის ქუჩის N 2 მოსახლეობა ითხოვს ეზოს და კორპუსის ფასადის რეაბილიტაციას, ასევე N 20 კორპუსის მოსახლეობა ითხოვს მისასვლელი გზის და კორპუსის ფასადის რეაბილიტაციას, ასვე გზაზე განათების მოწყობას და კორპუსთან საბავშვო ატრაქციონის გაკეთებას. აღნიშნული პრობლემების გარშემო მოვახდინეთ შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერთან იგი დაგვპირდა საკითხების შესწავლას;
- გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის მოსახლეობა ითხოვს წყალანირების ქსელის მოწყობას. აღნიშნული საკითხი დასმულია მუნიციპალიტეტის მერთან და დაგვპირდა საკითხის გადაცემას წყალმომარაგების კომპანიისთვის. გიორგი ბრწყინვალეს და ბორჯომის ქუჩების მოსახლეობა ითხოვს, მინი სტადიონის და საბავშვო ბაღის შენობას, აღნიშნულ საკითხებზე მიმდინარეობს მსჯელობა მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან;

- დანიელ ჭონქაძის, აბასთუმნის და ბორჯომის ქუჩების მოსახლეობა ითხოვს სასაფლაოსთან სანიაღვრე არხის გაკეთებას, აღნიშნული საკითხი მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ შესწავლილი იქნა, უახლოეს პერიოდში საკითხი მოგვარდება;
- ზარზმელის ქუჩის მოსახლეობა ითხოვს კორპუსების რეაბილიტაციას და აღნიშნული საკითხი დასმულია ქალაქის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე, იგი დაგვპირდა საკითხის მოგვარებას;
- 9 აპრილის ქუჩის N2, N2/ა და N4, N4/ა კორპუსების მოსახლეობა ითხოვს წყალანირების სისტემის რეაბილიტაციას;
- ასპინძის ქუაზე N 38- ში მოსახლეობა ითხოვს კორპუსთან ცენტრალური გზის გასწვრივ მოაჯირების გაკეთებას და ეზოში მაგიდისა და სკამების დადგმას, აღნიშნული საკითხების შესახებ პროექტი მომზადებულია;
- ივანე გვარამაძის ქუჩის N19, N17, N15-ის მოსახლეობა ითხოვს მდინარე ფოცხოვზე ჯებირის გაკეთებას, აღნიშნული საკითხი დასმულია ქალაქის მერის წინშე;

4. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის , დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები:

- ქ.ახალციხეში რუსთაველის ქ N95, N95ა, N
- 97-ში მდებარე კორპუსებისა და მათ მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობ მხიდან გამოთქმული პრობლემაზე საკითხები დაისვა საკრებულოს წევრის გელა ჭალიძის მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან ირაკლი ლაზარაშვილთან პირადად შეხვედრისას.

  ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა რომ, დაავალებს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, უახლოეს პერიოდში, ყოფილი საქვაბის ტერიტორიის, ქონების ეროვნული სააგენტოდან მუნიციპალიტეტზე გადმოცემასთან დაკავშირებული პროცედურების გავლას, შემდგომში სკვერის მოწყობის მიზნით; ასევე ახლო მომავალში შეისწავლიან და მოაგვარებენ ამ ტერიტორიაზე გამონადენი ბუნებრივი წყლის საკითხსაც.
- შეხვედრაზე გამოთქმულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ:
  - მოსახლეობისათვის, მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტოსადგომის მოწყობის,
  - კორპუსების ფასადების რეაბილიტაციისა და
  - ხეების გადაბელვის შესახებ,
  - ქ. ახალციხეში ასპინძის ქუჩის #26-ში მდებარე კორპუსში და მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოთქმული პრობლებმის - წყალანირების ქსელის პრობლემის მოგვარების თაობაზე,აღნიშნულ საკითხზე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები საკითხის გადაწყვეტას უახლოეს მომავალში უზრუნველყოფენ.
- მერმა ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები დროულად იზრუნებენ ხეების გადაბელვის პრობლემაზე, ასევე

დაიწყება ავტოსადგომის მოწყობის საკითხზე მუშაობა, ხოლო რაც შეეხება კორპუსების რეაბილიტაციის საკითხს, განმარტა, რომ აღნიშნულ კორპუსებზე უკანონო მოშენებების გამო, საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას.

- ქ.ახალციხეში გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის რეაბილიტაციის ახლად მოწყობილ მინი სტადიონთან, სკვერისა და საბავშვო ატრაქციონების მოწყობის საკითხები, დასმული იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან ირაკლი ლაზარაშვილთან პირადად შეხვედრისას.

  მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ ქ.ახალციხეში გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის რეაბილიტაცია დაგეგმილია 2023 წელში, რაც შეეხება სკვერისა და ატრაქციონების მოწყობის საკითხს, დაავალებს მერიის შესაბამის სამსახურებს საკითხის შესაწავლას.

4.საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრების წესის დამტკიცება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ და სხვა.

5. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა, შეხვედრებსა და ისეთ ღონისძიებებში მონაწილეობა და აქტიური ჩართულობა როგორიცაა:

- 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 1989 წლის 9 აპრილის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება.
- 17 ოქტომბერს, საქართველოში ვეტერანების დღის აღსანიშნავად ღონისძიება.
- ღვინის ფესტივალი ,,ღვინის დღეები' ღონისძიება.
- ჭადრაკის ფესტივალი „ახალციხე - 2023“ ღონისძიება.

შევსების თარიღი 23.10.2023

წარდგენის თარიღი 23.10.2023

ხელის მოწერა